სამშობლო

ხუთშაბათი
12 ნოემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერი. ღირს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 221 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 221

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, პარასკევს, 13 ნოემბერს, და კვირას, 15 ნოემბერს
მხოლოდ 3 დღით ახალი ფართო პროგრამა
ქრონიკა გომონისა. მიმდინარე ამბები.
განსაკუთრებით მხოლოდ მოზრდილთათვის სენსაცია!
ყველას ჩვენ გვწყურია სიყვარული
პიკანტური ფარსი 2 ნაწ., სატახტო ქალაქის არტისტების მონაწილეობით.
მილიონების გიპნოზის გავლენის ქვეშ.
მე 15 სერია. პერლ ვიტის მონაწილეობით.
შაბათს, 14 ნოემბერს გაიმართება საქველმოქმედო სეანსები ახალი პროგრამით.
ანონსი: ორშაბათიდან ნაჩვენები იქნება მონა, თანამედროვე დრამა 4 ნაწ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა „რუსეთი“ („როსსია“), სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ექიმი ი. ჩარექოზი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლეგაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის ექიმი
მ. მგელაძე—გალიცკისა
ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ელ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

საუმაღლო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** აგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი **რ. პ. სვანაძე-**ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

1915 წ.
ნოემბერი
12
ხუთშაბათი

ანონსი:
მზადდება
ყიფიანის.—„ლევან სამეგრელოს მთავარი“.
პანტუხიშვილის—„ბურუსი“.

იაფ ფასიანი წარმოდგენა № 7
„ქართული დრამა“. № 20
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე
პიესა სტუდენტების ცხოვრებიდან
დღენი ჩვენის ცხოვრებისა.
4 მოქმ.
ლ. ანდრეევი—მთარგმნელი ი. იმედაშვილი
მონაწილეობს მთელი დასი.
ადგილების ფასი დაკლებულია.
რეჟისორი **შალვა დადიანი.**
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 1—1

ქუთაისის მომხმარებელ საზოგადოების „კოოპერაციის“ გამგეობას სჭირია გამოცდილი და დახელოვნებული მეფურნე საზოგადოების ფურნისთვის, რომელიც ამ მოკლე დღეში უნდა გაიხსნას.
ხელფასი და შრომის პირობანი წესიერი იქნება.
მოლაპარაკება საზოგადოების თავჯდომარის ამხანაგთან საღამოს 5—6 საათამდი, რედაქცია „სამშობლო“, თბილისის ქუჩა, სახლი გოკიელისა, ძმ. ფირალოვების ქარხნის პირდაპირ. 3—2

ქ. ქუთაისში
1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. **კვინიხიძის** ქალთა პროგიმნაზიის სადგომში
გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.
სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

გამოცდილი რეპეტიტორი **ამზადებს და უსწორებს გაკვეთილებს** ყველა კლასის მოსწავლეებს შეღავათიან ფასებში.
მისამართი: „სამშობლოს“ რედაქციაში 6—2—5083

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი 9 ნოემბერი. ოფიც. დასავლეთის ფრონტი.

სოფ. პულკარნის რაიონში, რიგის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გერმანელები შევიწროებულ იქნენ. მათი თხრილები ზოგიერთგან დაანგრიეს.—რიგის ყურიდან მოყოლებული პრიპიატამდე მდგომარეობა უცვლელია. მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე რაფალოვკა-ჩარტორიისკთან რამდენიმე შეტაკება მოხდა, რასაც საზოგადო მდგომარეობა არ შეუცვლია.

გალიციაში მდ. სტრიპის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულ რაზმებთან მოხდა შეტაკება. ვენიაბის მხრით წამოსულ მტერს რუსები ერთსულოვანი სროლით შეხვდნენ. სოფ. ხმელევკასთან ბრძოლა გრძელდება. მის სამხრეთით რუსებმა დაიპირეს სოფ. იანოვკა.

ბალტიის ზღვა. 7 გიორგობისთვეს რუსის ნაღმოსნებმა მცირე ბრძოლის შემდეგ ვანდავის მახლობლად დაიჭირეს გერმანელთა მოდარაჯე ხომალდი. ერთი აფიცერი და 19 ჯარისკაცი ტყვედ წამოიყვანეს. რუსებს ზარალი არ მოსვლიათ.

კავკასიის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

---

10 ნოემბერი. დვინსკის რაიონის ფრონტზე სვენტის ტბის ჩრდილოეთით ჩვენ ხელში ჩავიგდეთ მტრის ერთერთი მოწინავე თხრილი. დვინსკის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ლავკოსის გასწვრივ, მტერი შეეცადა იერიშზე გადასვლას, მაგრამ ჩვენის ცეცხლით შეჩერებულ იქნა, და დიდი ზარალიც ნახა და იძულებული გახდა თავის პოზიციებისკენ დაეხია. მთელს დანარჩენ ფრონტზე რიგის ყურედან მდ. პრიპიატამდი, ღ. კოზელევიჩის დასავლეთით, ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა მტერზე, რომლის ნაწილებიდანაც ზოგი გაიქცა, ზოგიც ამოსწყდა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 2 ოფიცერი და 117 ჯარის კაცი. წავართვით 1 ტყვიის მტყორცნელი, 190 ვინტოვკა და ბევრი პატრონა. გალიციაში, მდ. სტირის აღმოსავლეთ ნაპირზე მტრის იერიში დაწელევკაზე, ტრემბოვლის დასავლეთით, მოგერებულ იქნა ჩვენის ცეცხლით.

კავკასიის ფრონტი.

მთელს ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. პასინის ჭალაში ჩვენმა მზვერავებმა მოხერხებულათ ჩამოყარეს ყუმბარები მტრის თხრილებში.

— —

(დანარჩენი დეპეშები იხილეთ მე 4 გვ.)

ომის ამბები.

(ქურნალ გაზეთებიდან)

იტალიის გაზეთების ცნობით, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩების გამოსვლას ათინაში ულტიმატური ხასიათი ჰქონდა. ინგლის-საფრანგეთის ნოტას იტალიის ელჩიც შეუერთდა.

— —

„რუსკოე სლოვო“-ს რომიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ იტალიის საექსპედიციო კორპუსი, გენერალ ბალიოს ხელმძღვანელობით, მზათაა ალბანეთისაკენ გასამგზავრებლათ.

— —

გერმანელების გეგმა სერბიის შესახებ.

„ბერ. ტიდენ“-ეს კოპენჰაგენის კორესპონდენტის ცნობით, სერბიის სრულიად განადგურების აზრს ბერლინის პოლიტიკური წრეები არ იზიარებენ. მათი აზრით, გადარჩენილი სერბია მთაშავეთს უნდა შეუერთდეს.

სომეხ დეპუტატების ჩამოხრჩობა.

კონსტანტინოპოლიდან ცნობაა, რომ ბულგარეთის მთავრობამ ოსმალეთს გადასცა „დაშნაკცუტიუნების“ პარტიის ოთხი გავლენიანი პირი. ოსმალეთის სამხედრო პირებმა კომიტეტის წევრები სამხედრო საველე სასამართლოს გადასცეს. სასამართლომ მათ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. განაჩენი უკვე მოიყვანეს სისრულეში.

კონსტანტინოპოლის სარწმუნო წყაროდან ცნობაა, რომ 8 სომეხი—ოსმალეთის პარლამენტის დეპუტატები, ჩამოახვრჩესო. ბევრი დეპუტატი საპატიმროებში მოკვდა, რადგანაც უდიერი წვალება ვერ აიტანათ.

— —

ათინიდან ცნობაა, რომ იტალიის გადაწყვეტილებამ—გაგზავნოს ჯარი ბალკანეთში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბერძნეთის მცხოვრებლებზეო. საბერძნეთის მთავრობამ გადასწყვიტა ოთხთა შეთანხმების წინადადება მიიღოს და ხელი არ შეუშალოს მოკავშირეთა ჯარს, თუ საბერძნეთის ტერიტორიაზე გადასვლა დასჭირდათ.

— —

სოფიიდან იტყობინებიან, რომ ბულგარელებმა უსკიუბში რუსეთის ელჩი სტრიბულაევი დაპატიმრეს და სამხედრო ტყვეთ გამოაცხადეს.

— —

„ბირჟ. ვედ.“ ატყობინებენ, რომ სერბიის ჯარი, რომელიც სამხრეთით მოქმედებს, მტერმა შეავიწროვა საბერძნეთის საზღვრისკენო. უსკიუბი წინანდებურათ ბულგარელების ხელშია. ჩრდილო-დასავლეთით სერბიის ჯარი სამი მხრიდანაა მომ

წყვდიული და რგოლივით შემორტყმული მტერი თანდათან უახლოვდება. სერბიელების დახევა ალბანეთისაკენ უგზოობით ძლიერ შეფერხებულია. ერთად ერთი იმედი სერბიელებისა მოკავშირეთა ჯარის სასწრაფო მიშველებაზეა დამყარებული.

— —

„რუსკ. ინვ." სწერს: დვინსკიან დრისვიატ—ბოგინსკოეს ტბის ხაზის გასწვრივ გერმანელებმა თავიანთი პოზიციები მძლავრათ გაამაგრეს და სურთ არტილერიის ცეცხლით შეაჩერონ ჩვენი შეტევა. ჩვენი არტილერია უხმოთ არ რჩება და შესაფერ პასუხს აძლევს. გერმანელები მდ. სტირზე თავის აქტიურ მოქმედების სერიოზულ შედეგებს ელიან. ასეთი შედეგები უპირველესათ გალიციის ფრონტზე უნდა გამოჩნდეს, სადაც ორივე მხარედან წინააღმდეგობა უძლიერეს წერტილებს აღწევს. ჩვენი ჯარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მტრის მოქმედებას მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე და შესაფერ ზომებსაც ღებულობს.

დიპლომატიურ სფეროში.

საფრანგეთის დიპლომატიის ერთ-ერთი წარმომადგენელი კატეგორიულ პროტესტს აცხადებს იმ ბრალდების წინააღმდეგ, თითქოს საფრანგეთი საბერძნეთის პოლიტიკაში ხელმძღვანელობდეს კერძო სიმპატიებით ამა თუ იმ ბერძენ პოლიტიკურ მოღვაწისადმი. ასეთი ბრალდება მას ყოვლად უსაფუძვლოდ მიაჩნია და ამბობს, საფრანგეთი იმ თავიდანვე ამ თავამდე ანგარიშს უწევს საბერძნეთის მთავრობის კოლექტიურ აზრსა და მის პოზიციას ოთხთა შეთანხმების მიმართ.

სეპარატიული ზავი.

ამერიკული გაზეთი „ივენინგ მეილი" გაბედულათ იცავს გერმანიის ინტერესებს და იტყობინება „სარწმუნო წყაროებიდან", თითქო გერმანია მზათაა რუსეთს სეპარატიული ზავის წინადადება მისცეს შემდეგ პირობებით: 1) გერმანია დაუბრუნებს რუსეთს ყველა წართმეულ ტერიტორიას, გარდა პოლონეთისა რომელიც ცალკე სამეფოდ უნდა გადაიქცეს, 2) გერმანიის რჩევით ოსმალეთი ეგვიპტეს და სხვა მიდამოების სამაგიეროთ, რომელსაც მიიღებს გერმანიის ევროპაში გაძლიერების გამო, რუსეთს დაუთმობს კონსტანტინოპოლს, თუ ეს უკანასკნელი დასთანხმდება ინგლისთან კავშირის გაწყვეტას. 3) ავსტრია დაუთმობს რუსეთს გალიციის იმ ნაწილს, სადაც სლავიანები ბინადრობენ.

გაზეთი დარწმუნებულია, რომ გერმანია შესძლებს რუსეთის მოკავშირეთაგან ჩამოშორებას, რის შემდეგ ოსმალეთი და ბულგარეთი ეგვიპტეზე გაილაშქრებენო, ავსტრია ანგარიშს გაუსწორებს იტალიას, ხოლო თვით გერმანია მოაწყობს ახალ საშინელ გალაშქრებას ინგლისის წინააღმდეგ.

პრესა ბალკანეთის ომის შესახებ.

გაზეთ „რუსკოე სლოვო"-ში ვ. მიხაილოვსკი სწერს: „ბულგარელთა სწრაფი გამარჯვება მაკედონიაში იმით აიხსნება, რომ სერბიელთა მთავარი ძალა თავმოყრილი იყო ჩრდილოეთში მდ. დუნაის და სავის ფრონტზე, ხოლო გენერალი ბოიოვიჩი და სტეპანოვიჩი უმნიშვნელო რაზმებს მეთაურობდენ. სარდალ პუტნიკის ასეთი გეგმა [illegible] იყო, მხოლოდ იმ პირობით, თუ კი საბერძნეთი თავის თავზედ მიიღებდა ბულგარეთთან ბრძოლის მთელ სიმძიმეს. გამარჯვების გასაღები მეფე კონსტანტინეს ხელში იყო, მარა სერბიასთან ხელშეკრულობის დარღვევით ეს გასაღები მეფე ფერდინანდს გადაეცა. ამიტომაც შემკვიდრე ალექსანდრეს მიერ დუნაისა და სავის მიდამოების გმირული თავდაცვა სრულიად უნაყოფო გამოდგა, ვინაიდან ბოიოვიჩისა და სტეპანოვიჩის ჯარმა ვერ გაუძლო ბულგარელთა სამკეცა ძალას და სერბიელთა უკან დახევის გზა საფრთხეში ჩავარდა. შეიძლება, ბელგრადიდან უფრო სწრაფათ უკან დახევა და ნიშის მხრიდან სოფიისაკენ გალაშქრება უკეთეს პირობებში ჩააყენებდა სერბიელთა თავდაცვის საქმეს. სამწუხაროთ, ეს ჭეშმარიტება გვიან გამოაშკარავდა".

ქრონიკა

რუსეთი.

გაზეთების აკრძალვა.

ჩრდილოეთ ფრონტის მთავარსარდალმა შემდეგი ებრაული გაზეთების გამოცემა აკრძალა სამხედრო წესების მოხსნის დრომდე 1) „კოოპერაცია ებრაელებთა შორის" 2) „განაიხ"; 3) „გამელიც"; 4) „ვოლკსტიმე", 5) „პეტროგრადერ ტოგბლატ" 6) „ტოგ"; 7) „ფარტო" და 8) „ნილუ".

ახალი ჯამაგირები.

მინისტრთა საბჭომ 87 სტატიის წესით ფოშტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ჯამაგირის შემდეგი ნორმა მიიღო.

ფოშტა-ტელეგრ. განყოფილებათა პირველი კლასის უფროსები მიიღებენ— 2400 მ. 1800 მ. მაგიერ.; თანაშემწეები 2000 მ.—1500 მ. მაგიერ. მეორე კლასის უფროსები—2000 მ.—1500 მ. მაგიერ. თანაშემწეები—1600 მ.—1200 მ. მაგიერ.; მესამე კლასის 1600 მ.—1200 მ. მაგიერ.; თანაშემწეები 1200—900 მ. მაგიერ.

მეოთხე კლასის: 1200 მ.—900 მ. მაგიერ, თანაშემწეები 1050 მ.—750 მ. მაგიერ.! 5 კლასის: 1050 მ.—750; თანაშემწეები 900—600 მ. მაგიერ.

6 კლასისა: 900 მ.—600 მ. მაგიერ. და თანაშემწეები 750—450 მ. მაგიერ. ჯამაგირი მომატებული იქნება პირველი ნოემბრიდან მდგომარე წლისა.

როძიანკოს თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი იმ დეპუტატებისა, რომელნიც მინისტრთა თათბირში იღებდენ მონაწილეობას. თათბირი შეეხებოდა საქონლის გადაზიდვის საკითხს. თათბირმა საჭიროთ სცნო სხვა და სხვა უწყების მოქმედების ერთად შეერთება.

სამეფო ბანაკიდან დაბრუნდა შინაგან საქმეთა მინისტრი ხვოსტოვი.

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზით ბრძოლა უმთავრესად მის სამხრეთით ნაწილებში სწარმოებს. კვლავ მოპირდაპირეთა ყურადღება მდ. სტირის ნაპირებისაკენ არის მიქცეული. გუშინდელი დეპეშის ცნობით რაფალოვკასა და ჩარტორისკთან გადებულ ხიდების წინ მოწინავე რაზმების შეტაკება ხდება. როგორც ვიცით ჩარტორისკი ამას წინად რუსის ჯარმა დაიბრუნა, მაგრამ როგორც სჩანს ავსტრიელებს აქედან შორს არ დაუხევიათ. უნდა ველოდოთ აქ კვლავ დიდ ბრძოლას. საზოგადოთ ბოლო დროს ავსტრიელები და გერმანელები მდ. სტირის და სტრიპის ნაპირებს დიდს ყურადღებას აქცევენ. რუმინიის პოზიცია ჯერ ჯეროვნათ არ არის გამორკვეული. თუ დაუჯერებთ სხვა და სხვა კანტი კუნტად მოსულ ცნობებს, თითქოს რუმინიისა და ბულგარეთის საზღვრების ახლოს მოსალოდნელია დიდი ამბები, რაც რუმინიას აიძულებს აქტიურ მოქმედებისათვის. მაშასადამე რუმინიის მახლობელი რაიონები, აღმოსავლეთი გალიცია, ბუკოვინა და ტრანსილვანია დიდს მნიშვნელობას მიიღებენ და ამიტომ ავსტრიელები და გერმანელები იძულებულ არიან ეხლავე უზრუნველ ჰყონ თავისი პოზიციები მდ. სტრიპასა და სტირზე. მდ. სტირის ნაპირით დიდი ხანია იგინი ამას ცდილობენ და გუშინდელი დეპეშის ცნობით ახლა მდ. სტრიპას ნაპირებიდანაც დაუწყიათ შეტევა: მათი რაზმები ამ მდინარის აღმოსავლეთის ნაპირს გადმოსულან და საზოგადოთ წინ წამოუწევიათ. ბრძოლა ხმელევეც-იანოვკას ხაზით სწარმოებს და ეს ორი პუნქტი მდ. სტრიპას აღმოსავლეთ ნაპირს 10—12 ვერსით არიან დაშორებულნი. ბოლო დროს მოსული ცნობები უფრო დაჟინებით ირწმუნებიან, მალე ბულგარეთის ჩრდილოეთის საზღვართან დიდი ამბავი მოხდებაო. გაზეთები რაღაც ისტორიულ შეხვედრაზე ლაპარაკობენ. ძნელი გამოსაცნობია, რას გულისხმობენ ამ შემთხვევაში გაზეთები, მაგრამ ვარნის ევაკუაცია ოდნავ ფარდასა ხდის ამ საიდუმლოებას. დიდი ხანია ხმები დადის რუსეთი ფართო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ბალკანეთის ბრძოლაშიო. თუ ეს მართლა მოხერხდა, დიდს გავლენას იქონიებს ბალკანეთის საქმეებზე. სერბიის ჯარის მდგომარეობა მეტად მძიმე გახდა და გაჭირვებამ უკიდურესობამდე მიაღწია. პეტროგრადში მყოფ სერბიის ელჩს ცნობა მიუღია, რომ სერბიის ჯარის მთავარ ნაწილს, რომელიც რაშკო-მიტროვიცა—უსკუბის ხაზით იბრძვის, მოპირდაპირენი სამი მხრით შემორტყმიან. ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით და რკალი თან და თან ვიწროვდება. სერბიის ჯარი უკან იხევს და იძულებული იქნება ალბანეთის და „ჩერნოგორიის" ტერიტორიაზე გადავიდეს. მონასტირის რაიონში სერბების ჯარის მხოლოდ მცირე ნაწილია და მოკავშირეთა ჯარი ამათ თუ დაეხმარება და უშველის. საბერძნეთის საკითხიც გამწვავდა და მას და მოკავშირეთა შორის აშკარად მტრული განწყობილება დამყარდა. ინგლისის ეგზემს საზღვაო გზები შეუკრავს საბერძნეთისათვის, რათა საბერძნეთი აიძულოს მოკავშირეთა დახმარებისთვის.

ამ ჟამად ბალკანეთის საკითხში სერბიას უკვე პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვს. საკითხის სიმწვავე და მთელი ომისთვის მნიშვნელობა ეხლა გერმანიის და ოსმალეთის შეერთებას [illegible] მოსალოდნელია მართლა [illegible] ახალი მოქმედება, სწორედ ამ შეერთების შედეგის გაქარწყლებისაკენ იქნება მიმართული. მაგრამ მარტო ამ საშუალებით საქმის გამოსწორება მეტად ძნელია, თუ კი ზედ არ დაურთობენ მთავარ ასპარეზებით ფართო ოპერაციებს. მაგრამ მთავარ ასპარეზებით ისეთი მდგომარეობა დამყარდა, თანაც დაზამთრდა. ამიტომ ძნელი მოსალოდნელია, რომ აქ რაიმე თვალსაჩინო ცვლილება მოხდეს მოკლე ხანში. ჩვენ არ ვიცით ბოლოს და ბოლოს რა გზას დაადგება რუმინია. დღეს მთელი ბალკანეთის ბედი მასზე არის დამოკიდებული. თუ რუმინიაც ისე მოიქცა, როგორც საბერძნეთი, თითქოს ნეიტრალიტეტიც შეინახა და ამავე დროს მოკავშირეთა ჯარი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, მაშინ ბალკანეთის საკითხი მხოლოდ უფრო გამწვავდება და გართულდება. ამ შემთხვევაში რაიმე გადამწყვეტ შედეგს მოკლე ხანში არ უნდა მოველოდეთ. პირიქით თუ რუმინია აქტიურად რომელიმე მხარეს დაეხმარა, მაშინ ბალკანეთის საკითხი რადიკალურად დაისმება და გადაწყდება კიდეც.

სამხრეთის ასპარეზით მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი საქმე იწყება და ვისკენაც გადახრის ფორტუნა სასწორს, იგივე იქნება გამარჯვებული მთელს მსოფლიოს ომში. (ს. ფ.)

ახალი სასურსათო კანონები გერმანიაში.

გერმანელ მომხმარებელთა ძირითად მოთხოვნილებათ გადაიქცა სასურსათო საკითხი. მომხმარებელნი მოითხოვდენ მწარმოებელთაგან სურსათის ძალით ჩამორთმევას, ზომიერი ფასის დადებას და თანაბარათ განაწილებას მცხოვრებლებთა შორის ადგილობრივ თვითმართველობებისაგან. ამ განზრახვით, როგორც დეპეშებიდან ვიცით, ოქტომბერში მთელი რიგი კანონებისა გამოიცა. პირველი კანონი უმთავრესათ შეეხებოდა კარტოფილს. ახალი კანონი აარსებს „საიმპერიო საკარტოფილო ცენტრს". ეს ცენტრი ორი განყოფილებისაგან შესდგება: ადმინისტრატიული და სავაჭრო. პირველი სწყვეტს პრინციპიალურ საკითხებს,

---

ცხოვრების ნაწყვეტი.

(მოთხრობა).

გიმნაზიელი რეზიკო იყო ერთად-ერთი ვაჟიშვილი ზალიკა ლ—სა. მასზედ იყო დამყარებული ოჯახის იმედი. მასში ხედავდენ მშობლები თავიანთი ბრწყინვალე და ბედნიერ მომავალს. თუმცა ზალიკა ძლიერ შეძლებული აზნაური არ იყო, მაგრამ ის მაინც ცდილობდა შვილისათვის კარგი განათლება მიეცა და არა დაეკლო რა. რეზიკო ხედავდა ყოველივე ამას და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა მშობლების მიზნის და სპეტაკი სურვილების განსახორციელებლათ... მას წყუროდა განათლება. მისი გრძნობა, გონება, ფიქრი განათლებისაკენ მიისწრაფოდენ... მასში ხედავდა ის სრულ ბედნიერებას. „მე იმიტომ მწყურია განათლება, რომ ჩემს სამშობლოს, ჩემს მრავალ-ტანჯულ ერს სამსახური გავუწიო", ხშირად ამბობდა რეზიკო...

რეზიკო ავათმყოფი ყმაწვილი იყო. ის საშინელი სენი, რომელიც მას ბავშობიდან თან დაჰყოლოდა, ძალას ართმევდა, აუძლურებდა და თანდათან ასუსტებდა.

დადგა გაზაფხული ტურფა და ლამაზი. მტრედის ფერი ნაზი ცის კაბადონი ალერსით გადმოსცქეროდა ირგვლივ მიდამოს. ყოველგან გაზაფხულის მომჯადოებელი სუნი ტრიალებს. ნორჩი, ახლად გაფურჩქნილი ბალახი სამურად ბიბინებს. ულრანი ტყე ამაყად გამოიყურება. მოკამკამე, ხავერდოვანი მდელო თვალწარმტაცად გადაშლილა. მოხიბლავ ნეტარებით აღსავსე გაზაფხულის გრძნეულ ბუნებას მეჯლისი გაუმართავს. ირგვლივ, ყოველგან სიცოცხლე, სიხარული, ნეტარება; ბრწყინვალე მეფე ციურ მნათობთა—ცხოველი მზე, თავისი ოქროს სხივებით, რომელსაც მთელის არსებით ეწაფება ყოველი სულდგმული...

...დასრულდა გიმნაზიაში მოწაფეთა გამოცდა. რეზიკო გამარჯვებული დაბრუნდა სოფელში... მეტი შრომა-ჯაფისაგან ის ეხლა უფრო დაუძლურებული იყო. მისმა ჩამოსვლამ დიდი სიხარული და სიამოვნება გამოიწვია ამხანაგებში, მეზობლებში და მეგობრებში, მაგრამ, მეორე მხრით, მისმა ჩამოსვლამ სევდის სხივები მოჰფინა მშობლების მიბნედილ თვალებს...

ზალიკო არ უერთდებოდა საერთო, მეგობრულ სიხარულებას. მას სევდა-კაეშანი გულს უღრღნიდა, როდესაც მისი თვალები მის ერთად ერთ იმედს და სასოებას ეგრე დაუძლურებულს ხედავდენ.

ზალიკა მაინც იმედს არ ჰკარგავდა. მან გადასწყვიტა შვილი საავარაკოთ გაეგზავნა. თუმცა რეზიკოს ძლიერ სურდა სოფელში დარჩენა, მაგრამ მშობლების განზრახვას და გადაწყვეტილებას წინ ვერ გადაუდგებოდა, რადგანაც კარგად იცოდა, ნათლათ გრძნობდა, რომ მისი ავათმყოფობა იყო მიზეზი მშობლების მწარე ცრემლთა ფრქვევისა და ყოველ-დღიური მწუხარებისა. ამიტომ საერთო მშვიდობიანობისთვის მან უყოყმანოთ შეასრულა მამის განზრახვა... რეზიკო ცრემლმორეული ემშვიდობებოდა ყველას, ვისაც მაზე გული შესტკიოდა...

აგარაკში ბევრი რამ ეუცხოვა ახალგაზდა გიმნაზიელს. მაღალი, თვალ-უწვდენელი, ბუმბერაზი მთები, რომელნიც ამაყად იყვნენ ამართულნი აგარაკის გარშემო. ცივი, ანკარა წყაროები, რომელნიც კეკლუცად მოციგლიკობდენ მთის კონცხიდან. წყნარი, მოდუდუნე მდინარე, რომელიც გველივით მიიკლაკნებოდა და სადღაც შორს, შორს სალ კლდეთა ზღუდეთა შორის იკარგებოდა. მთებზე გაშენებული მწყემსებთა ფაცხა-კარვები, რომელთა გარშემოც საღამოს ჟამს იკრიბებოდა უთვალავი ჯოგი. მწყემსის ჩუმი, სმენის დამატკბობელი სალამურის ნაღვლიანი ხმა. ტყეში მიმავალი მეურმის გულის შემძლონებელი სევდიანი ურმული. ნაძენართა სურნელება, რომელიც ატკბობს და ახალისებს ყოველს სულდგმულს. აი, რა ხიბლავდა, რა ატკბობდა, ახალგაზდა, მეოცნებე ყრმა რეზიკოს ნორჩ სულსა და გულს.

რეზიკო თავისუფლად გრძნობდა თავს აგარაკის მწვანე, დაბურულ ტყეში. მას ძლიერ უყვარდა ბუნება და დიდი ნეტარება იყო მისთვის ხილვა მისი მშვენებისა...

ხშირად, საღამო ჟამს, ოდეს პირ-ბადრი მთვარე, ეს ნამდვილი ვენერა ტრფიალებისა, და მიძინებულ ბუნების სინარნარე. ატკბობს ირგვლივ მიდამოს, ის მარტოდ-მარტო, მოშორებული ხალხთ ერიამულს, ჩამოჯდებოდა მდინარის ნაპირას და ტკბილ ოცნებას ეძლეოდა. მის გარშემო სუფევდა მყუდროება და დუმილი იდუმალებით აღსავსე ღამისა. მის თვალთა წინაშე ლიპლაპებდა ფართოდ გაშლილი მდინარე და ეს დიადი მდინარე მწვანე, ხავერდოვანი სამოსით თუ ტურფა ყვავილებით და ხეებით შემოსილ-შემკული, წაავავდა მძინარე ქალწულს, რომლის თოვლივით თეთრ და სპეტაკ სახეზე აფრქვევენ ნაზოვან ღიმილს საოცნებო სიზმრები. ცის ლურჯ გუმბათზე მოკამკამე ვარსკვლავთ სხივები კეკლუცად ეთამაშებოდენ მდინარის მოლივლივე ტალღებს. რეზიკოს ხიბლავდა და მთელს მის არსებას თავისკენ იტაცებდა ეს ფერეული სანახაობა. მის ნორჩ გულს გაჰქონდა საამო ფანცქალი... მეოცნებე სულის სათუთი სიმები ნეტარებით ჟღერდენ. ის შესტრფოდა და შეჰხაროდა მომხიბვლელ ბუნების სილამაზეს და სიდიადეს. ხშირად აღტაცებაში მოსული წამოიძახებდა: „ო, რა მომხიბვლელი ხარ სამშობლოვ ჩემო, რაოდენ ჯადოსნური ძალით აღსავსე ბუნების სიმშვენიერით ხარ შემკულ-შეკაზმული!" ნელი, ნაზი მდინარის ხილვას ის მოჰყავდათ განსაკუთრებულს აღტაცებაში. საღამოს ჟამს ის მუდამ მდინარის ნაპირას იმყოფებოდა და თავისი ფიქრებით, გრძნობა, გონებით, მთელი მისი ჭაბუკური ოცნებით იმ მხარეში დანავარდობდა, სადაც მას ეგულებოდა თავისი სულის მეგობარი, სულის ღმერთი მარო... რეზიკოს ოცნების საგანს, აგარაკის გრძნეული ბუნების წიაღში, მხოლოდ მარო შეადგენდა. მისი სული თავის მეგობრისკენ მიისწრაფოდა, მიილტვოდა...

რეზიკო ეხლა კარგათ გრძნობდა ძალ—ღონის მომატებას, მისი სუსტი აგებულობის გაძლიერებას და მისი სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... მას შრომა, მუშაობა მოქმედება სწყუროდა... ის მზად იყო ყველას შებმოდა, გამკლავებოდა... მას სწადდა, სწყუროდა ეგრე ჯანმთელი რაც შეიძლება ჩქარა წარსდგომოდა მშობლებს და მის თვალებს რაც შეიძლებოდა მალე ეხილა „ის", ვისაც მან უძღვნა თავისი პირველი, უმანკო და უანგარო სიყვარული... მას სავსებით და სრულებით სწამდა ის იდეალი სიყვარულისა, რომელიც შეიმუშავა თვით მისმა გულმა, გრძნობამ და გონებამ. მან შეიმუშავა ის იდეალი, რომ სიყვარული ხსნის, მარტავს ცხოვრების ძნელ ამოცანას და გამოჰყავს ღამის წყვდიადიდან სინათლეში. მას სწამდა, რომ სიყვარული არის ერთად-ერთი დასაბამი, საფუძველი ცხოვრებისა, უიმისოდ ბედნიერება არ არსებობს, უიმისოდ ადამიანისათვის არ ამოვა ცისკარი ნათელი მომავლისა...

რეზიკომ აგარაკზე ორ—თვე ნახევარი დაჰყო...

* *

რეზიკო სოფელში ჩამოვიდა... ზალიკას მთელი ოჯახი სიხარულის ალმა მოიცო. ყველანი ხარობდენ, თვით ზალიკაც მოილხენდა, მის სახეზე სიამოვნების ღიმილი კრთოდა. მუდამ ნაღვლიანი და გულმწუხარე დედა რეზიკოსი—ნინო, დღეს განკურნებულ შვილის ხილვით ახალგაზდა ქალწულივით გამოიყურებოდა...

— „ვერ წარმოიდგენ, მამა ჩემო", ეუბნებოდა რეზიკო ზალიკას, „რა მშვენიერი ადგილია ის აგარაკი, სადაც მე მთელი ეს ზაფხულის დღეები დავყავი. რა ბუმბერაზი მთები, რა ლიკლიკა, მალხაზი ანკარა წყაროები, რა დიადი მდინარე, რა სურნელოვანი ჰაერი, ერთი სიტყვით, მამაჩემო, კაცი ან მგოსანი.

უნდა იყო ან მხატვარი, რომ სავსებით ენით გამოსთქვა ან დაასურათო ის მშვენიერება, რომელიც იტაცებს ყოველი სულდგმულის მთელს არსებას... ამ ზაფხულის განმავლობაში მე იქ არავითარი ტკივილი არ მიგრძვნია... მე მუდამ ვხარობდი, ვოცნებობდი... ახ, მამაჩემო, რა მშვენიერი და მომხიბლელი სილამაზით ყოფილა შემკული ჩვენი სამშობლო, ჩვენი ტურფა საქართველო!"

— მომავალ ზაფხულამდი, თუ ღმერთმა ინება და მივაღწიეთ, ყველაფერი რომ გავყიდოთ მაინც კიდევ გაგიშვებთ შვილო, ოღონდ შენ გიყავდე კარგათ, თორემ შენ სასიკეთოთ აბა შენი საცოდავი დედ-მამა რასა დაიშურებს, ეუბნებოდა ნინო რეზიკოს.

— მე ეხლა ისე კარგად ვგრძნობ თავს დედა ჩემო. რომ არ მგონია კიდევ დამჭირდეს საავარაკოთ გამგზავრება... მე დღეს სრულებით განკურნებას ვგრძნობ, დედა.. მე ეხლა მოქმედება მწყურია, შრომა...

— შენ იცი შვილო და შენმა ყმაწვილკაცობამ თუ დროზე მოასწრევ, დროზედ მოგვეშველები და შენის მომავლით ყველას გაგვახარებ, ნელის ხმით ეუბნებოდა ზალიკა შვილს.

— ნუ შიშობ, მამაჩემო, გული გაიმაგრე. მტკიცედ იყავი. სიბერე და ეს ჭაღარა ნუ შეგაკრთობს. აი ამ ერთ წელში გიმნაზიას დავასრულებ და მერე მე ვიცი თუ როგორ მოვეშველები ჩემს ძვირ-

ხოლო მეორე ასრულებს სდელკებს, აწესებს ფასს სანოვაგის ჩამორთმევის დროს და სხვა პირველის ხელმძღვანელობით.

„საკართოფილო ცენტრი“ აკმაყოფილებს ყველა ქალაქს, სადაც კი არა ნაკლებ 10 ათას კომლიამდეა თითოეულში, ე. ი. 30 მილიონ მცხოვრებს. თითოეული ქალაქის გამგეობა ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს „ცენტრს“, თუ რამდენი კართოფილია საჭირო ნორმალურ საცხოვრებლათ მთელამი რწმუნებულ ქალაქის მცხოვრებთათვის 1 ნოემბრიდან 1 მაისამდი 1916 წლისა. ამ ცნობების შეკრება უკვე დასრულდა 25 ოკტომბრისათვის. გამორკვეულია, რომ მშვიდობიან დროს თითოეულ სულს უნდება $1\frac{1}{4}$ გირ. ყოველდღე. ეს რიცხვი უნდა გამრავლებულიყო მცხოვრებთა რაოდენობაზე და უნდა გამოეკლოთ ქალაქების გამგეობებისაგან შეძენილი სათადარიგო სურსათი. 30 მილიონ მცხოვრებთათვის საჭირო იყო ნახევარ წელს 162 მილ. ფუთი კართოფილი.

„საკართოფილო ცენტრი“ ვალდებულია მიაწოდოს ქალაქებს მეკვეთილი რაოდენობა სანოვაგისა, რისთვისაც „ცენტრის“ განკარგულებაშია საშუალება შეძენისათვის კანონის მიერ განსაზღვრულ ფასებში, ხოლო თუ იგი ბაზარზე არ იშოვება, ვალდებულია ძალით ჩამოართვას მწარმოებელს ამავე ფასებში.

კანონისაგან შემდეგ ნაირათ არის განსაზღვრული ფასები ძალით ჩამორთმეულ სანოვაგეზე: გერმანეთის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც უმთავრესათ მოჰყავთ კართოფილი და სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 30% შეადგენს დადებულია 55 მარკა 1000 კილოგრამზე, ამ ფასში შედის მიზიდვის ხარჯი მახლობელ რკინის გზამდე და დასაქვართი. დანარჩენ ნაწილებში ფასი 47—61 მარკამდეა, ხოლო ერთად ერთ ოლქით, სადაც ძალით ჩამორთმევა უნდა მოხდეს,—ეს ზემოთ დასახელებული რაიონია.

„საკართოფილო ცენტრი“ ნაყიდ ფასით უნაწილებს ქალაქებს სანოვაგეს. ტომრების, გადაზიდვის (ხმელეთით, თუ ზღვით) წონის დაკლების და სარდაფებში მიტანისთვის ქალაქი თავის შეძლების მიხედვით იხდის 1–2 პფენინგამდი თითოეულ კილოგრამზე.

ქალაქები ვალდებული არიან მიაწოდონ მცხოვრებლებს პირდაპირ ან წვრილი მოვაჭრეების საშუალებით ხოლო მცირე საკომისიოს აღებით (არ უნდა აღემატებოდეს 5%)

ამ გვარათ წვრილ წვრილათ გასაყიდი ფასი აღმოსავლეთ გერმანიაში დაწესებულია $7\frac{1}{4}$ პფ. ერთ კილოგრამზე, ე. ი. რუსული წონისა და ფულის ანგარიშით ერთ გირვანქას მოსდის 1, კაპ-კი. და რადგანაც ახალი კანონი კართოფილის წვრილ-წვრილათ გასაყიდ ფასს ამცირებს 40%-ით, აკმაყოფილებს პირველ მოთხოვნილებას მცხოვრებლებისას.

მეორე მოთხოვნილება მომხმარებლებისა გამოიხატება არა მარტო ნორმალურ ფასების დადგენაში, არამედ საკმაო სურსათის მიწვდაში. ამ მიზნის განსახორციელებლათ კანონის მე—7—ე პარაგრაფი ვალდებულათ ხდის ყველა მეურნეს, რომელსაც კართოფილის დასამუშავებლათ აქვს არა ნაკლები 9 დესეტინისა, 10% გადასდევს ჩამოსართმევათ. ამ რიგათ გამოანგარიშებულია, რომ ჩამოსართმევათ მთელს გერმანიაში მოდის მხოლოდ 105 მილიონი ფუთი კართოფილი, რაც, რასაკვირველია, მომხმარებელთა მოთხოვნილებას— საკმაო სურსათის მიწვდის შესახებ—ვერ აკმაყოფილებს.

კავშირთა საბჭოს სურვილია რაც შეიძლება ნაკლები წყენა მიაყენოს მემამულეებს. „ბერლინერ ტაგებლატი“-ს მიერ მოყვანილ აგრარიებთა ორგანოების ანგარიშებიდან სჩანს, რომ მემამულე იღებს 80 მარკას ერთ ტონ ღორების საჭმელ კართოფილში და ახლა კი უნდა მიიღოს 55 მარკა ჩამორთმეულ მეათედ ნაწილში. მართალია, ესეც დიდი ფასია ნორმალური ფასის მიხედვით.

მომხმარებელი ღებულობს კართოფილს პირდაპირ ქალაქის თვითმართველობისაგან უშუაკაცებოთ, ე. ი. სხვილი და წვრილი მოვაჭრეების თავიდან მოშორებით, რომელთა მოგებაც ახლა პირდაპირ მხოლოდ მემამულის ჯიბეში გადადის. ასეთია სისტემა ახალი 9 ოკტომბრის კანონისა.

ასეთივე კანონი გამოიცა პოლონეთშიც სადაც იძულებითი ჩამორთმევა მარტო 10% არაა განსაზღვრული. ჩამორთმეულ კართოფილზე დადებულია ფასი 25—40 მარკამდი 1000 კილოგრამზე იმის მიხედვით, თუ რა ღირსებისაა კართოფილი. სილეზიაში კი ამდენსავე კართოფილში მემამულე იღებს 55 მარკას.

და რადგანაც აღნიშნული რაოდენობა 105 მილ. ფუთი მცხოვრებთა მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს ნახევარი წლის განმავლობაში (სულ ანგარიშით საჭიროა 162 მილ. ფუთი) „საკართოფილო ცენტრი“ ეცდება საჭირო სანოვაგე ნებაყოფლობით შეიძინოს ამავე ფასებში მემამულეთაგან.

განზრახულია აგრეთვე, რომ „ცენტრს“ ამ შემთხვევაში ხელი უნდა შეუწყოს მცხოვრებლების მხრით მოთხოვნილების შემცირებამ.

ფასს და საყვარელს მშობლიურ კერას!..

— ღმერთმა მკლავი მოგიმართოს, შვილო, მაგრამ რეზიკო, თუ შენ კიდევ მასწავლებლებს წინააღმდეგობას გაუწევ და მათ სურვილებს არ დაემორჩილები, მერწმუნე, შვილო, რომ ჩვენი შრომა, უნარი ამაო იქნება... გაუფრთხილდი, გაუფრთხილდი უფროსებს...

— შენ ამაზე ნუ სწუხარ, მამა, მერწმუნე, მე ჩემის მოქმედებით ჩემს საქმეს არ დავაბრკოლებ და ჩემს თავს ზიანს არ მივაყენებ. მე ეხლა ბავშვი არა ვარ... მე მესმის თუ რას ჩავდივარ, როგორ ვმოქმედობ...

— კარგი შვილო! მე მეტს არასა გეტყვი, მაგრამ ჩემი სიტყვები მაინც გახსოვდეს...

დასრულდა მოწაფეთა თავისუფლების დრო. რეზიკო ქალაქ №-ში გაემგზავრა, სადაც ის გიმნაზიაში მაცადინობდა.

* * *

საღამო იყო... მზე უკვე ჩასულიყო და რაღაც საოცნებო ყვითელი ფერით შეღება ცის ეთერი.

მარო და რეზიკო ერთად ისხდენ ქალაქის ბაღში... ორივენი სდუმდენ... გარშემო ისმოდა ხალხის ყიჟინა, სიმღერა, მუსიკის გრიალი. რეზიკო ყველა ამას გაურბოდა, რადგანაც ქალაქის მაღალ საზოგადოების ცხოვრებას, თავისი ყოველგვარი დროს გატარებით და გართობით აღარა შეეძლო მიეცა მისთვის ის, რაც სწყუროდა მის ახალგაზრდა სულსა და გულს.

— „სჯობს, მოვშორდეთ ამ საშინელ ხმაურობას, მარო, ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ უთხრა რეზიკომ, „წავიდეთ სადმე, სადაც სიჩუმე და დუმილი იქნება, სად არ ისმოდეს იქნება ტკბილი ოცნების გამანადგურებელი ხმა წავიდეთ მდინარისაკენ.“ მარო დასთანხმდა. ორივე მდინარის ნაპირისაკენ წავიდნენ...

რეზიკოს თვალებს არასოდეს არ უცქერნია მდინარის მოლივლივე ტალღებისათვის ისე ღრმა გრძნობით როგორც ამ ღამეს... ორივენი მდინარის ნაპირას ისხდენ. თავს დასცქეროდათ უფსკრული ულრუბლო, ვარსკვლავთ სხივით თაიგულით მოჭარგულ ცისა. შორს მანძილზე განუწყვეტლივ იხილებოდენ სოფლის მშვენიერების სურათები... ამ მშვენიერ, თითქო ღამეს რეზიკო და მარო გრძნობდენ სრულ ნეტარებას, სიამოვნებას, შეუკავებელ სურვილს აღმაფრენისას...

ისინი დიდ ხანს შესცქეროდენ მთებს და ველ—მინდვრებს. სული მათი განაბული უსმენდა ბუნების თხრობას. ყანები, ტყეები, ყვავილნი სიჩუმით მოცულნი, მთელი ციური მშვენიერება და ბრწყინვალება შესცქეროდენ ნორჩ ახალ—გაზრდებს...

ეს ის ადგილია სადაც ცრემლ-მორეული რეზიკო სულის მეგობარ მაროს სამარადისო სიყვარულს ეფიცებოდა... ეს ის ადგილია, სადაც მარომ თანაგრძნობის ნიშნად რეზიკოს მთრთოლვარე ბაგეებზე აღბეჭდა პირველი, გრძნეული, გრძნობიერი კოცნა... ეს ის მდინარეა, რომელიც ერთად—ერთი უსმენდა რეზიკოს ობოლი სულის ამონაკვნესს...

ეს ის მთვარეა, რომლის მოცახცახე სხივებიც მაროს ნარნარ სახეს ეცისკროვნებოდენ...

ეს ის მთის ნიავია, რომელიც მაროს ხუჭუჭა ნაწნავ წაბლისფერ თმის ტევრს ჰაერში მიმოარხევდა...

— გახსოვს რეზიკო ეს ადგილი? შეეკითხა ხავერდოვანი ხმით მარო.

— ეს ადგილი—მუდამ ცოცხალი იქნება ჩემი მეხსიერების სალაროში...

(შემდეგი იქნება)

გაზ. „მეგობრის“ რედაქციას.

თქვენი წყრომა ნამდვილი ფედერალისტულია!

„ქამაროვის საქმის“ ანგარიში ჩვენ რედაქციაში წარმოადგინა ცნობილმა ვექილმა **ალ. საყვარელიძემ** უფრო ვრცლათ და დალაგებით ვიდრე თქვენსაში იყო დაბეჭდილი (დედანი რედაქციაში ინახება).

თქვე დალოცვილებო, ასეთ გულ-ღვარძლიანობას, ის არა სჯობდა ნამდვილათ აგვეგოთ, რაშია საქმე?

ამერიკაში ხომ არა ცხოვრობთ! ყოველ დღე ვხვდებით ერთმანეთს და ერთს მაინც დაგვეკითხებოდით. მაგრამ რომ აღარ იცით, **როგორ გაუქეთოთ სახელი თქვენს გაზეთს**, ღობე-ყორეს ედებით!..

საუბედუროთ თქვენდა, თქვენ გაზეთში ჯერ ისეთი არა დაწერილა რა, რომ **შეგვეხარბებოდეს**, ხოლო რაც გადმოგვილია, ჩვენი მსჯავრიც დაგვიდვია.

სასაცილოა თქვენი ასეთი ფაფხური და დონკიხოტობა. რედ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

წარსულ კვირას ჭიათურის შავი ქვის საბჭოს კრებაზე დაადგინეს გახსნან ამ ახლო მომავალში დ. ჭიათურაში აფთიაქი. ყოველივე აფთიაქის მოწყობილობის და ყოველივე ხარჯთ-აღრიცხვა მიენდო ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის საავადმყოფოს გამგე ექიმს ბ. სიმონ ჯაფირიძეს.

◆ ქუთაისის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს გამგეობის ცნობით დ. ჭიათურაში ამ ჟამათ მუშაობს სხვა და სხვა ქარხნებსა და სარეცხ მანქანებზე 2242 მუშა.

◆ ამ ბოლო ხანში დ. ხონში ადგილობრივმა ბოქაულმა აუკრძალა სოფლელებს სახოხე შეშის გაყიდვა დღის 12 საათამდი.

ამის შესახებ კავკასიის ვაჭრობა-მრეწ. წევრმა ბ. იოსებ ქუთათელაძემ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის მაზრის უფროსის წინაშე, რათა ეს განკარგულება გააუქმონ. შუამდგომლობა მაზრის უფროსმა უკვე შეიწყნარა.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა, ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის, სომეხთა სარწმუნოების სამღვთო სჯულის მასწავლებლათ ტერ ისაკ აპრილიანცი.

◆ ლეჩხუმის მაზრის ექიმი კ. პლოტნიკოვი გადაიყვანეს ამავე თანამდებობაზე ზუგდიდის მაზრაში.

◆ გუბერნატორის სამმართველოს დადგენილებით ს. ხხარში (შორ. მაზ.) სიმონ შუდაშვილის ადგილში ყოველ კვირაში პარასკეობით გაიმართება ბაზრობა.

◆ ჯარში გაწვეულთა დამხმარე საგუბერნიო—კომიტეტმა აცნობა ქალაქის კომიტეტს, რომ გაუგზავნოს დაწვრილებითი ცნობები შემოსავალ გასავლისა დღიდან დაარსებისა.

◆ ქალაქის პოლიციის უბნის უფროსი ახვლედიანი დაინიშნა საგუბერნიო ციხის უფროსის თანაშემწეთ.

◆ ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს დაწვრილებითი ცნობები წარუდგინა მოსამსახურეთა და მათი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის აღნიშვნით.

◆ 9 ნოემბერს, მესხეთის ქუჩაზე მოუხდათ ჩხუბი ტიმოთე ლომიძეს არსენ ფხაკაძეს და მინა ხაბურძანიას. ფხაკაძემ და ხაბურძანიამ რევოლვერით დასცრეს ლომიძე და მიიმალენ.

◆ 1—8 ნოემბრამდი ქუთაისში მოვიდა შემდეგი სანოვაგე: პურის ფქვილი 19 ვაგონი, 1 ვაგონი მარილი, 2 ვაგონი კარტოფილი 1 ვაგონი სიმინდი 2 ვაგონი ხეტყის მასალა. 15 ვაგონი შეშა სხვა და სხვა სანოვაგე 9715 ფუთი.

◆ 9 ნოემბერს ქუთაისის სანიტარულმა ექიმმა დადუნაშვილმა და ქალაქის სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ ოქმი შეუდგინეს ფურნის ქუჩაზე ფირნაოზ თავაძეს უსუფთაობისათვის.

◆ ქუთაისის ქალაქის სამეურნეო კომისიამ შემდეგ ნაირათ გაანაწილა სანოვაგისათვი ვაგონები: პურის ფქვილისათვის 4 ვაგ. სიმინდისათვის 5 ვაგ. მარილისათვის 6 ვაგ. ქატოსათვის 2 ვაგ. სხვა და სხვა სანოვაგისთვის 8 ვაგონი.

სოფლათ

— ს. ლესის სამკითხველოს გამგეობის თხოვნით კვირას, 15 ნოემბერს 1915 წ., ქუთაისში ახლად ჩამოსული ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა ექიმი **ს. მ. დადუნაშვილი** სპეციალისტი შინაგან და სამშობიარო სნეულებათა ეწვევა სოფ. ლესას და მიიღებს ავადმყოფთ ადგილობრივ აფთიაქში დილის 8 საათიდან საღამოს 10 საათამდე რიგში ჩაწერა შეიძლება ლესის სამკითხველოში.

— 27 ოქტომბერს ს. კულისკარში (ზუგ. მაზრა) დარაჯებმა დაატუსაღეს ციხეში მოვაჭრე ცნობილი ფირალი პლატონ როგავა. რომელსაც ამას წინათ გაცარცვა ს. ხეთის მცხოვრები კირია და გაბილაია.

— 28 ოქტომბერს ს. სარაკონში (ზუგდიდის მაზრა) ივანე ჯალაგანიამ მოკლა მისი ცოლი ადათი. მიზეზი ღალატი ცოლის მხრით იყო.

— ს. ვანში (ქუთაისის მაზრა) გაიხსნა უმაღლესი პირველ დაწყებით სასწავლებელი. 15 ნოემბრიდან მიიღება სამოსწავლოთ ორივე სქესის ბავშვები. ვისაც სურს ზემო დასახელებულ სასწავლებელში ყმაწვილების მიყვანა, გთხოვთ მიმართოთ ამავე სოფლის საზოგადოების აფთიაქში მართველს,-კომიტეტის წევრს.

სათეატრო ქრონიკა

დღეს, 12 ნოემბერს, „ქართული დრამის“ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა სტუდენტების ცხოვრებიდან „დღენი ჩვენის ცხოვრებისა.“ უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ.ქ. მ. მდივანი, ს. ზვეანიშვილი: ბ.ბ. მარველი, გვარამძე, კორიშელი ყალაშვილი.

— ხუთშაბათს და პარასკევს 13 და 14 ამ თვეს, „ქართული დრამის“ მსახიობთა ამ-ბა მიემგზავრება ქალაქ ფოთს, სადაც გამართავს ორ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება „მადამ სან-ჟენ. და „ღალატი.“

თბილისი.

— თათბირი სასახლეში. გუშინ, დილის 11 საათზე, სასახლეში მეფის მოადგილის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით დაიწყო თათბირი საცხოვრებელ ბინებისა და პირველ მოთხოვნილებათა სიძვირესთან საბრძოლველ ღონისძიებათა გამოსაძებნად. თათბირს დაესწრნენ 124 წარმომადგენელი კავკასიის სხვა და სხვა ადგილისა. წარმომადგენელთ მეფის ნაცვალმა სიტყვით მიმართა, რომელშიც დახატა მთავარი საკითხი თათბირისა და უმთავრესად შეეხო სატრანსპორტო საკითხს და ბრძოლას ბოროტ მეჭრთამეობასთან. შემდეგ მეფის ნაცვლის თანაშემწემ გოფმეისტერმა პეტერსონმა წარუდგინა მეფის ნაცვალს ყველა წარმომადგენელი, რომელნიც მიწვეულ იქნენ საუზმეზე. საუზმის წინ წარმომადგენელნი გაეცნენ მეფის ნაცვლის მეუღლეს დიდ მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასულს. საუზმეზე დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძეც დაესწრო. საუზმის შემდეგ დაიწყო თათბირი. მოხსენებანი წაიკითხეს ბაქოს წარმომადგენელმა ქრ. ა. ვერმიშევმა საზოგადო ორგანიზაციების მოწვევის თაობაზე-კავკავიდან ქალაქის თავმა ბ-ნმა ბიგეემ—საზოგადო ზომების მიღების თაობაზე; სტრემოუხოვმა—ტრანსპორტზე და ქალაქის გამგეობის წევრმა ჯაბარმა—რკინის გზით გადაზიდვის შესახებ. შემდეგ ამისა კრება სამ სექციათ დაიყო: ბინების, სანოვაგისა და სატრანსპორტო საკითხთა დასამუშავებლად. ამით კრება დაიხურა, იმავ, დღის საღამოს $8\frac{1}{2}$ საათამდე მუშაობა თათბირისა იწარმოებს დილის 10—2 საათამდე და საღამოს $8\frac{1}{2}$—11 საათამდე.

— პოლა ლომთათიძის გარდაცვალების გამო დეპუტატი აკაკი ჩხენკელი პეტროგრადიდან სარატოვს წასულა. [illegible] ჰფიქრობენ, იგი განსვენებულის [illegible] გამოაცილებს თბილისამდე. ნაფთლუღში განმანაწილებელ ლაზარეთის მოსამსახურეთ თავიანთ შორის შეუგროვებიათ 54 მან. 50 კაპ. ფონდის დასაარსებლად, რომელთაც უნდა გამოიცეს პოლას ნაწერები. ხუთშაბათს და კვირას (12 და 15 ამა თვეს) პანაშვიდები იქნება გადახდილი ქვაშვეთის ეკლესიაში.

— დეპუტატს კარლო ჩხეიძეს გადასახლებულ ხუთ სოც.-დემ. დეპუტატის ოჯახობამ მიმართა, დასჯილ დეპუტატებს გამოუთხოვე დღიური სახარჯოს მიღება. ჩხეიძე ამის თაობაზე სათათბიროს მდივანს დმიტრიუკოვს მოელაპარაკა. იგი დაჰპირდა სათათბიროს სხდომას მოვახსენებო. თუმცა, დასჯილ დეპუტატებს, არ უნდა მოსპობოდათ დღიურ სახარჯოს ძლევო.

„ს!“

კრება

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობისა.

გუშინ, 10 ნოემბერს, მოხდა მორიგი კრება ზემოდ დასახელებულ საზოგადოების გამგეობისა.

კრებამ დაადგინა: 1) დაინიშნოს განსაკუთრებული კაცი ქუთაისის გუბერნიაში **გადმოხვეწილთა და ომისაგან დაზარალებულთა** რეგისტრაციის მოსახდენათ. 2) მიიღოს ზომები, რომ აჭარაში დაარსდეს სკოლები, კურსები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებანი ომისაგან აწიოკებულ აჭარელთა ბავშვებისათვის. 3) ეთხოვოს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას (თბილისშია), რომ ქუთაისის განყოფილებას გამოუგზავნოს მთელი ის თანხა, რომელიც გადადებულია ქუთაისის გუბერნიაში წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად. 4) მიენდოს ბ-ნ გრ. ურატაძეს მთავარ გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად შემოიაროს ქუთაისის გუბერნია და აღნუსხოს რიცხვი გადმოხვეწილთა და ომისაგან დაზარალებულთა. 5) ეთხოვოს ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობას ის სიები, სადაც მათ აღნუსხული აქვთ რიცხვი ომისაგან დაზარალებულ ოჯახებისა ქუთაისში და 6) გამგეობამ იყოლიოს განსაკუთრებული მდივანი.

* *

P. S. რაკი ამ საზოგადოებაზე ჩამოვარდა სიტყვა, რედაქცია აუწყებს თავის მკითხველებს, რომ ეს საზოგადოება უმაღლესად დაკანონებულია მთავრობისაგან და იგივე მთავრობა დიდ ფულს აძლევს გადმოხვეწილთა და ომში დაზარალებულთათვის დასარიგებლად.

რადგანაც მეტად ძნელია ყველა გადმოხვეწილის და დაზარალებულის აღნუსხვა, ძალიან კარგს ინებებენ ასეთები რომ **თითონვე გამოცხადდნენ ხოლმე საზოგადოების გამგეობაში** და აუწყონ: საიდან არიან გადმოხვეწილნი და ან რამდენი ზარალი მოუვიდათ ომიანობისაგან...

გადმოხვეწილებსა და ომისაგან დაზარალებულებს სრულიად თამამათ შეუძლიათ მოვიდნენ ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკში, მოიკითხონ რეგისტრატორი და დაწვრილებით უამბონ თავისი გასაჭირი.

რეგისტრატორის ნახვა **შეიძლება ყოველ დღე, დილის 12 საათიდან—2 საათამდე.**

მაშ, დატინჯულნო, ნუ დაჰკარგავთ დროს და გამოეცხადეთ იმ სიმპატიურ საზოგადოებას, რომელსაც თქვენი დახმარება უნდა. რედ.

განა ჩვენში მუშაობა შეიძლება?

ეს კითხვა ჩემდა უნებურათ კვლავ ამეკვიატა, როცა გუშინ ბ-ნ შალვა დადიანისაგან მოწვეულ კერძო თათბირიდან, თუ კერძო კრებიდან ვბრუნდებოდი...

ესევე კითხვა, მე მგონია, დაებადებოდა ყველა გულწრფელ მუშაკს ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე, რა მიმართულებასაც უნდა იყოს იგი, თუ კი პატივ-

[illegible] ბიბლიოთეკა

სა სცემს თავის თავსაც და საზოგადოებასაც, ვინაიდან ის, რაც გუშინდელ კერძო კრებაზე გამოირკვა, ნათლად მოწმობს, რომ არც ერთი მუშაკი უზრუნველ ყოფილი არ არის საჯარო შეურაცხყოფისა და მასხრათ აგდებისაგან! ...

მერე ვისგან, ან რისთვის?

განა სამართლია გალანძღული დარჩე იმიტომ, რომ მთელ შენ სიცოცხლეს სწირავ სამშობლო ქვეყნის კულტურულათ განვითარებას?

განა დასამცირებელი ხარ, იმიტომ, რომ დღეს და ღამეს ასწორებ, რათა ცოტაოდენი სამართლიანობა, ადამიანობა, სიკეთე და დღეგრძელობა მაინც შეიტანო შენ მშობელ ერსა თუ საზოგადოებაში?

განა მასხარათ ასაგდები ხარ იმიტომ, რომ არ გინდა შეფერხდეს,—თუ სავსებით არ მოისპობა,—ისეთი დაწესებულება, რომელიც უპირველესი საფეხურია ერის განვითარებისათვის?

თქვენი არ ვიცი და პირადათ მე კი აღშფოთებული ვარ იმ მოპყრობით, იმ კინკლაობით, იმ ხეპრეობითა და უზრდელობით, რომელიც გამოიჩინა „მეგობრის" **წვრილ-ფეხობამ** გუშინდელ კრებაზე.

მაგრამ რა მოხდა? რამ გამოიწვია ასეთი უდიერობა?

„რეცენზენტებისაგან" შეურაცხყოფილმა „ქართული დრამის" რეჟისორმა, ფრიად დამსახურებულმა და თავისის ერთგულის მუშაკობითა, თავაზიანობითა და მწერლობა-ხელოვნების ტრფიალით ცნობილმა შალვა დადიანმა მოიწვია კერძო თათბირი და განაცხადა: ბატონებო, მე მინდა გაუწყოთ შედეგი ერთი თვის ნამუშავარისა და ამასთანავე გკითხოთ ღირსი ვართ, თუ არა, იმ კიცხვა-გმობისა და შეურაცხყოფისა, რომელსაც განიცდის ჩვენი „ამხანაგობა" ჩვენი პრესის „რეცენზენტებისაგანაო"?..

როგორც ხედავთ ბ-ნ შალვას არ დაუსახელებია კერძოთ რომელი გაზეთის „რეცენზენტები" ექცევიან მას უდიერათ, მაგრამ ეს განცხადება იტკიცეს „მეგობრის" მიმდევრებმა და თავიდანვე ისეთი კილო აიღეს, რომ საქმე უეჭველათ „სკანდალით" უნდა გათავებულიყო.

პირადათ მე—გულ ახდილათ მოგახსენებთ—არ მიგულისხმევია „მეგობრის" „რეცენზენტები"—ვინაიდან ამ გაზეთს ჩემის აზრით, ჰყავს ისეთი რეცენზენტი (უბრჩხილებოთ), რომელსაც თითქმის ბადალი არ მოეპოვება, (თუმცა აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ მეტათ დიდი საზომითა ზომავს და მეტათ ბევრს მოითხოვს ჩვენის არტისტებისა და სცენისაგან) და მაშასადამე, მე პირადათ ვერ ვიგულისხმებდი ამ გაზეთის სხვა „რეცენზენტებს" რადგანაც ამ „სხვების" უვიცობას, მისი ცოდნა ჰფარავს.

ჩემს მოკლე სიტყვაში, რომლითაც დავეთანხმე ბ-ნ შალვა დადიანს და საზოგადოთ გამოვსთქვი სრული და ფაქტებზე დამყარებული ის ჭეშმარიტება, რომ ხშირად „რეცენზენტობენ" ისეთი პირები, რომელთაც **ხელოვნებისა არა ესმით-რა** და, მაშასადამე, ასეთ „რეცენზენტებს" ჩვენი გაზეთები არ უნდა ბეჭდავდნენ მეთქი—მე ვგულისხმობდი თბილისის ქართულ გაზეთების ქუთათურ ერთ-ერთ „რეცენზენტს".

ეს ის ყმაწვილია, რომელიც შეიძლება შემდეგში გამოიწაფოს, განვითარდეს და ღირსეული კალმოსანი შეიქმნეს—სულ რამდენიმე ხანია რაც ჩვენი რედაქციიდან წავიდა (თუ ვაიძულე წასულიყო—არ დავმალავ ჩემს „ავკაცობასაც") აი ამ ყმაწვილს მთელი წლიწად ნახევარი უბრალო „ახალი ამბავის" დაწერა ვერ ვასწავლე და ახლა „რეცენზენტის" სავარძელში კი წამოსკუპულა. რასაკვირველია, ასეთი ჯეროვნად მოუმზადებელი ყმაწვილი, რომ ვისმეს „დააფასებს" პირდაპირ შეურაცხყოფად უნდა მივიღოთ. „ქება იქნება ეს მისი „დაფასება, თუ გინება". ასეთი მოუმზადებელი ყმაწვილის „რეცენზენტის როლში" გამოსვლა დამცირებაა თვით რედაქციისა და გაზეთისაც. ასეთი მოვლენა კი მარტო აღსანიშნავი კი არა, გასაკიცხიც არის, და აი სწორეთ ეს აღვნიშნე ჩემს მოკლე სიტყვაში.

ეს სიტყვა, არ ვიცი რათ, იწყინა „მეგობრის" „ცნობილმა" თანამშრომელმა გუცა ფარქოსაძემ და ისეთის უზდელის კილოთი გამომეკამათა, რომ ჩემ მიერ პასუხის გაცემა მეტათ ჩავთვალე და გავჩუმდი. გავჩუმდი იმიტომაც რომ, ყველასთან არ შეიძლება სერიოზული მსჯელობა....

გუცა ფარქოსაძეს წამოეშველა ვექილი გრ. ლადიძე, ლადიძეს აკაკი ფალავა, ფალავას ალ. კრინიცკი და ისეთი ორომტრიალი გაიმართა, რომ მარტო ჩვენში თუ შეიძლება ასე აბუჩათ აგდება არა მარტო კერძო დამსახურებული პირებისა, არამედ მთელი საზოგადოებისაც....

„ის უბრალო და ნათელი საკითხი, ის გულწრფელობა და პატივისცემა, რომელიც გამოიჩინა შალვა დადიანმა საზოგადო აზრისადმი, ის ანგარიში, რომელიც გაუწია მან კერძო თათბირს, დამხელდა, შეიბღალა, დამცირდა, წაიშალა და გამეფდა მხოლოდ ჯგუფური ქვენაგრძნობა და შეურიგებლობა.

ამ შეურიგებლობიდან გამოყვანა მოინდომა ბ-ნმა გრ. გიორგაძემ, მშვენიერი რეზოლიუციაც წარმოადგინა მაგრამ გამგონე აღარავინ იყო.*....

მე აღარ ვიცი რითი დამთავრდა კრება... წამოვედი,.. რადგანაც ვეღარ ავიტანე ის შეურაცხყოფა—არა პირადათ ჩემი—არამედ მთელი საზოგადოებისა,—და აი ეხლა ნაღვლიანათ ვეკითხები ჩემ თავს: განა ასეთ წრეში მუშაობა შეიძლება? განა უზრუნველყოფილი ხარ, რომ ვინმე გაყვიზინებული „კალმოსანი" სილასაც არ გაგკრავს, ან შენ იძულებული არ იქნები მიხვიდე და ყურები აუწიო?...

ორთავე შემთხვევაში შენვე გამოხვალ დამცირებული.

სად, სად არის ხსნა, ბატონებო, და როდემდის უნდა ითელებოდეს ფეხქვეშ შენი სურვილი ქართველ ხალხისადმი ერთგულის სამსახურისა?!...

თუ კი უვიცი „რეცენზენტი" ნამუშავარს შეგიგინებს, თუ კი უზრდელი და უწვრთნელი დამქაში ამა თუ იმ ჯგუფისა ფეხქვეშ გასთელავს შენს შრომას, თუ კი არც არას მოგცემენ და კიდევაც გცემენ—როგორ და შეიძლება გულ მშვიდათ მუშაობა, როგორღა შეიძლება ენდო ვისმე და შენი ტანჯვა გაუზიარო?!....

როგორღა?!...

ამას თქვენ გკითხავთ, ხალხო და ჯამაათნო, თქვენ მოგმართავთ მკითხველებო, და მსმენელებო, თორემ „მეგობრისტების" პასუხი უკვე ვიცით: მათ თავისზე კარგი აღარავინ ჰგონიათ და თავ სის მოქმედებით გვამცნობენ: მოგვშორდით თავიდან, მარტო ჩვენ უნდა ვიბატონოთ....

ჰაა, იბატონეთ, ბატონებო, თუ კი ხალხი შეიწყნარებს **ბატონობას**, რა სახისაც უნდა იყოს იგი...

მე კი ღმერთმა დამიფაროს რომ თქვენისთანა ხალხს სამართალი მოვსთხოვო...

სხვის დამარცხებით, სხვისის ხელით ნარის მომგლეჯთა ან კი აქამდის ნეტა რისთვის მოგჩერებოდით!?....

ია ეკალაძე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 9 ნოემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუასა და შამპანში საარტილერიო ბრძოლა ძლიერდებოდა. არგონებში ნაღმებით ბრძოლა არ შეწყვეტილა. წარმატება ჩვენს მხარეს იყო. ელზასში გარტმანსვეილერკოპთან და ფიგოლცის ვაკეში მედგარი საარტილერიო ბრძოლაა.

ბულგარეთის ფრონტი.

8 ნოემბერს ბულგარელების იერიში ცრნის მარცხენა ნაპირზე მოგერებული იქნა. სტრუმიცასთან სიწყნარეა. დარდანელთან მთელი კვირის განმავლობაში მიწის ქვეშ ბრძოლა იყო. 2 ნოემბერს ბრძოლის შემდეგ მოყვა ინგლისელების დივიზიის მიერ თხრილისა და ყუმბარების საწყობის ხელში ჩაგდება. საფრანგეთისა ბატარეისა და კრეისერის დახმარებით დაკავებულ პოზიციებზე გავმაგრდით, 3 ნოემბერს, დილით, მიუხედავათ მტრის თავგანწირული იერიშისა.

ლონდონი. 9 ნოემბერი. ოფიციალური. დარდანელში ინგლისელებმა დაიკავეს მიწაში გაკეთებული ხვრელების ნაწილი, რომელშიაც ოსმალებმა ახლახან ნაღმი ააფეთქეს. ბრძოლა მოხდა მიწის ქვეშ, სადაც რამდენიმე ოსმალო მოკლულ იქნა ყუმბარებით.

ლონდონი. 10 ნოემბერი. ფრენჩი იტყობინება: ოთხი უკანასკნელი დღის განმავლობაში ჩვენმა არტილერიამ ძალიან მოხერხებულათ დაუშინა ყუმბარები მტრის ხაზებს. გერმანელების არტილერიამ მოქმედება გამოიჩინა ლოოსის ჩრდილოეთით, არმანტიერისა და იპრის აღმოსავლეთით. 6 ნოემბერს მტრის ჰაეროპლანი ჩვენს ხაზებზე ჩამოეშვა. აპარატი დაუზიანებელია. პილოტი და დარაჯი ტყვეთ წამოვიყვანეთ.

---

* აი შინაარსი ამ რეზოლიუციისა. გამოეცხადოს „ამხანაგობას" საზოგადოების ნდობა და გამოითქვას სურვილი, რომ რეცენზიები იწერებოდეს მცოდნე პირთაგან და სრულიად მიუდგომელათ-ო (ობიექტიურად.)

სოფლის ჭირ-ვარამი

წერილი მეხუთე

გლეხის ავი და კარგი მხარე

ადამიანის ღირსების დამამცირებელი სურათია და ვისაც სიმშილი არ უგრძვნია, ვისი კუჭიც არ ალაპარაკებულა და ძლიერად საჭმელი არ მოუთხოვნია, და ვინც ჩაფიქრების უნარს მოკლებულია, ამ სურათის ნახვაზე ცხვირს აიწევს და იტყვის: ეს უბრალო სიხარბეა გლეხისა! და ამასთან ისე მცირე და უბრალო გარემოება, რომ ლაპარაკიც კი არა ღირს!!

დიახ, უბრალო, მცირე გარემოებაა, მაგრამ... მაგრამ ჩვენ გლეხს კუჭი ვერ გაუძლევია იმ პურით, რომელსაც ნიადაგი მოუმზადა. მიწის მოხვნა-დაფარცხვაში თავის თავი და საქონელი ჩააკლა, დასთესა, მოუარა, მომკა, გალეწა, განიავა, გაცხრილა, გააკეთა და სხვა.

უბრალო, მცირე გარემოებაა, მაგრამ მშიერი გლეხი მხოლოდ კუჭზე ჰფიქრობს. ეს ფიქრი ჰფარავს, ჩრდილავს დანარჩენ ფიქრებს, რომელიც მაძღარ კაცს მოსდის თავში. ეს ფიქრი ახშობს ადამიანის გონებას, აბორკებს სულს, აღვიძებს მის გულში სიძულვილს, აშინებს, აქარწყლებს სიყვარულს, ადამიანის ღირსებას უკარგავს და პირუტყვად აქცევს, დაბეჩავებულ, გაძვალტყავებულ პირუტყვად, რომელიც არც თვითონ და არც მისი ჩამომავალი ცხოვრებისთვის აღარ ვარგა.

უბრალო, მცირე გარემოებაა, მაგრამ მშიერი გლეხი სწავლაზე არ ჰფიქრობს. 7—8 წლის შვილი მას ოჯახში მუშად სჭირია და სკოლაში არ ჰგზავნის. საზოგადოდ არ იშორებს შვილს გვერდიდან. არ მიჰყავს ქალაქს ხელოსნის სასწავლებლად, არ უშვებს სხვაგან სამუშაოდ, რადგან მარტოხელა დარჩენა მას აშინებს, სიმშილით სიკვდილს უქადის.

მშიერი გლეხი არ ჰფიქრობს და არც შეუძლიან მიწის ყიდვა, საკუთრების შეძენა. იმ მიწას, რომელსაც ის ჰხნავს და სთესავს სალალოდ, უყიდიან უცხო ტომის ხალხზე. ეს უცხო ტომი უსახლდება მას გვერდით და მატერიალურად და კულტურულად მაღლა მდგომი ჩვენ გლეხებს უქადის ჩაყლაპვას.

მშიერი გლეხი არ ფიქრობს მიწის კულტურაზე. მიწის დამუშავებას ცოდნა უნდა. ცოდნა არა აქვს. ხეხილის, ვაშლის გაშენებას და სხვა დარგს მიწადმოქმედებისას ფული უნდა. ფული მას არა აქვს. მუშაობის გაადვილებას, გაუმჯობესებას გული უნდა და დრო. არც გული და არც დრო მას არ აქვს.

მისი ერთად ერთი, ყოველდღიური ფიქრი მიმართულია პურისა და სიმინდისაკენ. როგორ, რა გზით მოიყვანოს სამყოფი პური და სიმინდი რომ იარსებოს, მშიერი არ მოკვდეს. ამ პურს, ამ სიმინდს სთესავს მინდორში, ტყეში, კლდეებზე, ბაღში, ვენახში, გადაბრუნებულ მიწაში, ყველგან და ყოველ ადგილას, და მისთვის არ მოერიდება არც დიდ ხარჯს, არც დიდ მუშაობას.

კომბოსტოსი, ჭარხლისა, კარტოფილისა და სხვა ბოსტნეულობის თესვა და მოვლა ქალის საქმეა. გლეხი ამას უყურებს როგორც ქალის საქმეს, უკეთ რომ ვსთქვათ უსაქმურობას. ქალია, დაე. გული გაიქარვოსო.

ხილში გლეხი დიდ პატივსა სცემს ტყემალს, პანტასა და ქლიავს. ეს ხილი სჭირია მას მუშაობის დროს პირის გასასოვლებლად და თანაც ადვილი მოსავლელია. კალვილი, დიუშები და სხვა და სხვა გვარი მსხალი და ვაშლი მდიდარი ხალხის საჭმელს შეადგენს. გლეხი მას ბევრს ვერ მოიყვანს, რომ შეეძლოს მისი გაყიდვა და მარტო სახლში საჭმელად არ ღირს მასზე შრომის დაკარგვა.

ერთხელ ერთი მეზობელი გლეხი დავიქირავე მუშად ბაღის გასაწმენდათ, სხვა და სხვა უბრალო ხეხილის გამოსაჩეხათ. საღამოზე, ფულით რომ გავისწორდი, გლეხი შეჩერდა და საწყალი სახით დამიწყო ცქერა.

— შენ რაღაცა გინდა მთხოვო, მითხარი რა გინდა?

— აი იქ, ტყემლის პატარა ფშანი მოვთხარე, თუ არ გამიწყრები, წავიღებ და ჩემს ბაღში დავრგამ!—საწყალი სახით მომიგო გლეხმა.

— წაიღე მეთქი—ვუთხარი გაკვირვებული, რადგან კარგად ვერ მივუხვდი, რა უნდოდა.

მეორე თუ მესამე დღეს საქმეზე მივედი იმ გლეხთან და მის ბაღზე გავიარე. შევხედე, ბაღის საუკეთესო ადგილას ახლად დარგულია ტყემლის პატარა ხე. ორი მარის პირი მიწა მოუთხრია, ჩაურგავს ხე და ზედ ფეხით მიუტკეპნია.

დავუძახე გლეხს და ვკითხე: ეს რა დაგირგავს მეთქი?

— ეს ის ტყემალი გახლავს, გუშინ რომ შენ მიბოძე!—იმავე საწყალი სახით მომიგო გლეხმა.

— შე კაი კაცო, ხილის დარგვა თუ გინდა, მეტყოდი და მოგცემდი ორი-სამი წლის დამყნილ ვაშლს, მსხალს და სხვას!

— აი, შე დალოცვილო, ვისაც აქვს მაგის თავი, კაი ხილს კაი მოვლა უნდა, მე კი სადა მაქვს მაგისი დრო? ეს კი თავის თავად გაიზრდება და ჩემი ბავშვების გულს გაახარებს.

უბრალო, მცირე გარემოებაა! არა, მკითხველო?..

(ს.) სვ ყ—ნი.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „სამშობლოს" კანტორა პატივისცემით მოაგონებს იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული არ გადაუხდიათ—ნუღარ დააყოვნებენ ფულის გამოგზავნას.

გერმანიეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოთ

ვისაც ჰსურს [illegible] ტყვევბულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამე ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kieg-
sgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის
ადრესი.
Liebesgaben für bie
russischen Kriegsgefangenen
აქ ბეჭდავთ საკუთარ ბეჭედს დაკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
А. А. Вахерахгъ

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное.
suisse. Recommanbée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Généve.

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 50 წ.
„	— ღამის	—11 ს. 30 წ.
ბათომიდან	— დილის	—10 ს. 5 წ.
„	— ღამის	— 2 ს. 23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს. 30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს. 38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს. 39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს. 55 წ.
„	— ღამის	— 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს. —
„	— დილის	— 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს. 14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს. 20 წ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანისამოსები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.